OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია

დავით სიხარულიძე
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Georgia
davit.sikharulidze@tsu.ge

ვახტანგ ჭარაია
ეკონომიკის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
vakhocharaia@gmail.com

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქართველოს ეკონომიკა, OLI პარადიგმა, საინვესტიციო პოზიცია

შესავალი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა განისაზღვრება მისი შესაძლო გავლენით მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. პუი-ის გავლენის ანალიზი განსაკუთრებით აღსანიშნავია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორიცა საქართველო, სადაც პუი-ის შემოდინება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, თუმცა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად მხოლოდ 1996 წლიდან აღირიცხება. უკანასკნელ ათწლეულების განმავლობაში პუი-მა გარკვეული როლი შეასრულა ქართული ეკონომიკის განვითარებაში და ხელი შეუწყო განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას (Charaia V., Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia, 2014). თუმცა, საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული, და წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თავლსაზრისით ნაკლებად მდგრადია. გარდა ამისა მულტი ნაციონალური საწარმოების ქართულ ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხი დაბალია და შესაბამისად მათი წვლილი საქართველოს ეკონომიკის დარგების მოდერნიზებაში უმნიშვნელოა, რაც ხელ არ უწყობს ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობის ამაღლებას.

გაერო-ს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) — ინვესტიციების მსოფლიო ანგარიშის თანახმად, 2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 2%-ით შემცირდა და შეადგინა 1,746 მლრდ აშშ დოლარი.

მოცემული ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აიხსნება. ამავე დროს მუდმივად იზრდება ინვესტიციები განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებიდან, ვინაიდან კონკურენცია და ეკონომიკური ზრდა და სხვა განვითარებად ეკონომიკებში მათ კომპანიებს სხვა ქვეყნებში გაფართოებისაკენ უბიძგებს.

განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებულმა საინვესტიციო ნაკადებმა 2014 წელს, მთლიანი ინვესტიციების 54 (778 მლრდ. აშშ დოლარი) და 7 (108 მლრდ. აშშ დოლარი) პროცენტი შეადგინა, შესაბამისად. მათ კი თავის მხრივ ერთობლივად მთლიანი პუი-ს 39 პროცენტის (ანუ 553 მლრდ აშშ დოლარი) ინვესტირება შეძლეს, რაც მათი ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია და ნათლად ასახავს ზრდას 2000-იანი წლების დასაწყისის 12 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა გავაანალიზოთ პუი-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და შევისწავლოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება ქვეყნის საინვესტიციო განვითარების მოდელის (IDP) ფარგლებში, ვინაიდან ის გვიჩვენებს სამამულო და უცხოური ფირმების: ა) საკუთრების, ბ) ადგილმდებარეობისა და გ) ინტერნალიზაციის უპირატესობათა კონფიგურაციას და ქვეყნის განვითარების სტადიებს.

გარდამავალი ქვეყნების განვითარების გზა ძლიერ არის დამოკიდებული: სპეციფიურ რესურსებზე, ინსტიტუტებზე, ეკონომიკურ სტრუქტურაზე, პოლიტიკურ იდეოლოგიასა და ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ფორმაციაზე, აგრეთვე პუი-ს რეციპიენტი ქვეყნის განვითარების სტადიაზეც.

1. ლიტერატურის ანალიზი

ერის საინვესტიციო განვითარების იდეა (Investment Development path, IDP) წარმოადგენს დინამიკურ მიდგომას, რომელიც თავდაპირველად ჯონ დანინგის მიერ იყო შემოთავაზებული. მოდელის თანახმად ქვეყნის IDP-ს ტრაექტორია წარმოდგენილია სამი ფაქტორით: საკუთრების სპეციფიური უპირატესობით (O), ადგილმდებარეობის სპეციფიური უპირატესობით (L) და მისი მიდრეკილებით მოახდინოს ბაზრის ინტერნალიზაცია (I) ფირმის სპეციფიური უპირატესობის რეალიზებისათვის საზღვარგარეთის ბაზრებზე. IDP მოდელის მიხედვით ქვეყნის განვითარების დონე მოიცავს რამდენიმე საფეხურს, რომელიც განისაზღვრება შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადებისა და ეკონომიკურ განვითარებას შორის ურთიერთ დამოკიდებულებით. ამ თეორიის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის განვითარებასთან ერთად იცვლება პირობები სამამულო და

უცხოური კომპანიებისათვის, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადებზე. შესაბამისად შემომავალი და გამავალი პუი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე.

ეკლექტიკური მოდელის თანახმად, დროის ნებისმიერ მომენტში, რაც უფრო მეტი საწარმო ფლობს ქვეყანა-ში საკუთრების სპეციფიკურ უპირატესობას სხვა ქვეყ-ნის ფირმებთან მიმართებით, მით უფრო მეტი სტიმული ექნებათ მათ უნიკალური აქტივების ინტერნალიზების, ვიდრე ექსტერნალიზების; ასევე, მეტად დაინტერესდებიან საზღვარგარეთ საწარმოო სიმძლავრეების განთავსებით და შესაძლებელია საერთაშორისო წარმოებაში ჩართვა (Dunning J.H, 2002). თეორია წარმოდგენილია დინამიკურ კონტექსტში, რომლის მიხედვით შემომავალი პუი მნიშვნე-ლოვან როლს თამაშობს იმ კომპეტენციების გაძლიერება-ში, რომელიც საბოლოოდ აისახება სამამულო ფირმების შესაძლებლობაში, განახორციელონ პუი საზღვარგარეთის ბაზრებზე. მიმღებ ქვეყნაში ხელსაყრელი პირობების არსე-ბობის შემთხვევაში, შემომავალი პუი ასტიმულირებს შიდა ფირმების O-ს უპირატესობას ახალი ტექნოლოგიებით, კრი-ტიკულად მნიშვნელოვანი უნარებით და ცოდნით, კონკუ-რენციის ეფექტით და ადგილობრივ ფირმებთან კავშირით.

ამგვარად IDP წარმოადგენს დინამიკურ მოდელს, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება კავშირი ქვეყნის ეკო-ნომიკურ განვითარებასა და შემომავალ და გამავალ პუი-ის ნაკადებს შორის, სადაც სამთავრობო პოლიტიკა თამაშობს კატალიზატორის როლს ცვლილებებისადმი (Narula, 1996), (Durán J. J., 2001).

მიუხედავად იმისა, რომ IDP მოდელის საშუალებით შესაძლებელია მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მაკრო დონეზე პუი-ის გავლენის ანალიზი, მისი ფუნდამენტური იდეა ძირითადად დაფუძნებულია მიკრო დონეზე (Scott-Kennel, 2005). ამ მოდელის მიხედვით პუი-ს შეუძლია ადგილობ-რივი დარგების მოდერნიზება, როგორც პირდაპირი O-ს სპეციფიური უპირატესობის ტრანსფერით, ასევე უცხოური ფირმების აქტივების არაპირდაპირი დიფუზიით გააძლიე-რონ სამამულო ფირმების ეკონომიკური აქტივობა მიმღებ ქვეყანაში.

IDP-მოდელის მიხედვით ქვეყანა გადის ეკონომიკური განვითარების 5 სტადიას (Dunning, 1981). სტადიების იდენტიფიცირება ხდება ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიციით - NOI (სხვაობა შემოსული და გასული პუი-ს ნაკადებს შორის) და ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე). ქვეყნების შედარებითი პოზიცია IDP-ის ტრაექტორიაზე შეიძლება აიხსნას OLI პარადიგმით. ხოლო თავად OLI-ის ელემენტებზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურა და განვითარების სტრატეგია, აგრეთვე მთავრობის მაკრო-ორგანიზაციული სტრუქტურა. შესაბამისად, OLI-ის კონფიგურაციის ცვლი-ლება სხვა ქვეყნებთან მიმართებით, ქვეყნის NOI-ის პოზი-ციის ცვლილებას და ეკონომიკური განვითარების სტადიას განაპირობებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მოდელი მოიცავს ეკონო-მიკური განვითარების ხუთ ეტაპს. პირველი ეტაპზე ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია (NOI) ნეგატიურია. შემომავალი პუი-ის ნაკადები შეზღუდულია ან საერთოდ არ არსებობს და არ ხორციელდება პუი-ის ნაკადების ექსპორტი. ქვეყანას გააჩნია მცირე ადგილმდებარეობის (L) უპირატესობა, რაც საშუალებას არ აძლევს მოიზიდოს პუი. იმ შემთხვევაში, თუ მოცემული უპირატესობა არსებობს, ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი ფირმების O უპირატესობა არასაკმარისია, რომ უზრუნველყოს, როგორც პუი-ს შემოდინება, ასევე მათი გადინება. ეკონომიკა იმყოფება განვითარების ადრეულ ეტაპზე. საქართველო 1990-1995 წლებში, როდესაც ქართულ ფირმებს არ გააჩნდათ რაიმე სპეციფიური უპირატესობა, რაც განპირობებული იყო სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების პრივატიზებით და ყოფილი ე.წ ,,წითელი დირექტორებისადმი" გადაცემით, რომლებიც უუნარონი აღმოჩნდნენ მორგებოდნენ ახალ საბაზრო პირობებს, შესა-ბამისად თავიანთი კომპანიები სრულ კოლაფსამდე მიიყვანეს და უმეტესი ნაწილი ჯართად გაყიდეს (ჯართი წლების მანძილზე საქართველოს პირველი საექსპორტო პროდუქტი იყო).

მეორე ეტაპი, რომელიც ხასიათდება მთავრობის პოლი-ტიკის გააქტიურებით, უზრუნველყოფს შედარებით ხელ-საყრელი ადგილმდებარეობის უპირატესობის ფორმირებას, **NOI-ს** პოზიცია კი უარესდება, შემომავალი პუი-ის ნაკადე-ბის ზრდის შედეგად. მოცემული ტენდენცია ძლიერდება სამთავრობო პოლიტიკის - შეღავათების, ტარიფების, თავი-სუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების წყალობით. პარალელურად, სამამულო ფირმები იძენენ სპეციფიურ აქტივებს და უპირატესობას, რამაც შეიძლება ქვეყნიდან პუი-ის ექსპორტი წაახალისოს.

მესამე ეტაპზე, კონკურენცია შიდა ბაზარზე იზრდება, ვინაიდან შემოსული ინვესტორების O-ს უპირატესობა ვრცელდება ადგილობრივ დარგებზე, ხოლო დასაწყისში მიღებული დანახარჯებით კონკურენტული უპირატესობა - მცირდება. დაბალი დანახარჯების მაძიებელ პუი-ს თანდა-თანობით ენაცვლება ბაზრის მაძიებელი ინვესტიციები (Barry, 2003). ვინაიდან ადგილობრივი **L-ს და O-ს უპირატესობა უმჯობესდება. იზრდება ადგილობრივი ფირმების მიერ განხორციელებულ პუი-ს ნაკადების ექსპორტი, რასაც მოჰყვება NOI-ს** პოზიციების და ეკონომიკური განვითარების დონის გაუმჯობესება.

მეოთხე ეტაპზე, ქვეყანა ხასიათდება დადებითი საინვეს-ტიციო პოზიციით, ვინაიდან პუი-ის ნაკადების ექსპორტი პუი-ის ნაკადების იმპორტს აღემატება. თუმცა, ზოგიერთი კვლევის მიხედვით არსებობს განსხვავება ეკონომიკური განვითარების დონესა (განსაზღვრული მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ით) და ქვეყნის საინვესტიციო პოზიციას (NOI) შორის, რის გამოც მოხდა მეოთხე სტადიის მახასიათებლების გადახედვა. (Durán J. J., 2001). ამ კვლევების მიხედვით ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა განისაზღვროს, როგორც მშპ-ით ერთ სულზე, ასევე ეკონომიკის სტრუქტურით. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მეოთხე ეტაპზე მყოფი ქვეყნები ვითარდებიან ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, სტრუქტურული განვითარების დონე, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა. ამ სტადიაზე მყოფი ქვეყნები იზიდავენ სტრატეგიული აქტივებისა და ბაზრის მაძიებელ ინვესტიციებს და თავადაც

ახორციელებენ პუი-ს საზღვარგარეთ. თუმცა, საზღვარგარეთ განხორციელებული პუი-ის მოცულობა შეიძლება იყოს მცირე და ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია აღმოჩნდეს ნეგატიური (Durán J. J., 2001). მეოთხე სტადიაზე მყოფი ქვეყნები ყოველთვის არ ხასიათდებიან დადებითი საინვესტიციო პოზიციით, თუმცა პუი-ს ნაკადების ექსპორტს უნდა ჰქონდეს ექსპონენციონალური ზრდის ფუნქცია.

საინვესტიციო განვითარების მეხუთე ეტაპზე, ქვეყნების NOI-ის პოზიცია მერყეობს ნულთან ახლოს ვინაიდან, შემომავალი და გამავალი ინვესტიციების ნაკადები იწყებს ურთიერთ დაბალანსებას და ადგილი აქვს ქვეყნებს შორის ურთიერთ ჩამთრევ ინვესტიციებს. (Duning and naruula, 1996). კვლევებიდან ჩანს, რომ მეოთხე და მეხუთე სტადიების მისაღწევად ქვეყანას სჭირდება ცოდნა-ინტენსიური აქტივების აკუმულაცია, რომელიც აისახება ადგილობრივ ფირმებში და ხელსაყრელი ადგილმდებარეობის L უპირატესობაში.

საქართველოს IDP-ს ტესტირება

საქართველოს IDP-ის ტესტირებისთვის გამოყენებულ იქნა მონაცემები შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადების შესახებ, რომლის საშუალებითაც შემოწმდა ქვეყნის განვითარების სტადიების შესაბამისობა IDP-ს თეორიასთან. მონაცემები შემომავალი და გამავალი პუი-ის ნაკადების შესახებ აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ასევე UNCTAD-სა და მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან.

კვლევისას გამოყენებულ იქნა ორი ალტერნატიული მოდელი. IDP მრუდის ანალიზისთვის თავდაპირველად დანინგმა გამოიყენა კვადრატული ფუნქცია (მოდელი 1). თუმცა, ბაკლიმ და კასტრომ (Buckley, 1998) წამოაყენეს თავიანთი მოსაზრება, რომ კვადრატული ფუნქცია საკმარისად ვერ აღწერს IDP-ს სტადიებს და შემოგთავაზეს პოლინომიული ფუნქცია (მოდელი 2), რომელიც ქვემოთა მოცემული:

მოდელი (1) $NOIt = \alpha t + \beta t\ GDPcapt + \gamma t\ GDPcap2\ t + \xi t$
მოდელი (2) $NOIt = \alpha t + \beta t\ GDPcap3t + \gamma t\ GDPcap5t + \xi$

ინვესტიციური განვითარების გზა (IDP) აგებულია ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიციის ბაზაზე, სადაც NOI არის ქვეყნის წმინდა საინვესტიციო პოზიცია და გამოითვლება შემომავალი და გამავალი პუი-ის სხვაობით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ხოლო GDPcap - მშპ მოსახლეობის ერთ სულზე.

დიაგრამა 1 გვიჩვენებს შემომავალი, გამავალი და წმინდა პუი-ს ნაკადებს საქართველოში 1994-2016 წლებში. საიდანაც ჩანს, რომ პუი-ის ნაკადების შემოდინება იწყება 1994 წლიდან და ხასიათდება ზრდის ტენდენციით. თუმცა, შესაძლებელია შევამჩნიოთ ორი მოკლე პერიოდი, როდესაც შეიმჩნევა პუი-ნაკადების მკვეთრი შემცირება: ა) 2004-2005 და ბ) 2008-2010 წლები.

მთლიანობაში, 1999-2013 წლების განმავლობაში საქართველოდან გადინებულია 1,558 მილიარდი აშშ დოლარის პუი (სებ). თუმცა, ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს (აშშ) თანახმად 2013 წლის პირველი იანვრისათვის ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლებია და 1,359 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს (თუმცა, არ არის დაკონკრეტებული რომელი წლიდან), რითაც შესაბამის რეიტინგში მსოფლიო მასშტაბით 77 ადგილს იკავებს. სებ-ის 2013 წლის სრული მონაცემების მიხედვით კი, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და $2,374 მლრდ. შეადგენს, რაც საქართველოში შემოდინებული პუი-ს 1/5-ია.

მოდით განვიხილოთ საქართველოდან გადინებული პუი-ს სტრუქტურა 2000-2013 წლებში (1999 წლის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი). საბოლოო სურათი შემდეგია: სააქციო კაპიტალში ინვესტიციებმა - $104.3 მლნ შეადგინა; რეინვესტირებულმა შემოსავალმა - $521,5 მილიონს, ხოლო სხვა კაპიტალში ინვესტიციებმა კი - $190 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება წლების მიხედვით შესაბამის კომპონენტებში ქართულ ინვესტიციებს საზღვარგარეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა „სხვა კაპიტალში" განხორციელებული ინვესტიციებისა, ინვესტიციები დანარჩენ კომპონენტებში - ქაოტური სტრუქტურით ხასიათდებოდა და წლიდან წლამდე კონკრეტული ინვესტიციური პროექტების მიზნებზე იყო მორგებული.

ზემოთ მოცემული მონაცემებისა საფუძველზე განვიხილოთ საქართველოს საინვესტიციო პოზიცია. დიაგრამა 2 გვიჩვენებს საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიებს, რომელიც ახსნილია ორი ცვლადით: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და ქვეყნის საინვესტიციო პოზიციით (NOI). როგორც დიაგრამიდან ჩანს საქართველოს საინვესტიციო პოზიცია (NOI) არის ნეგატიური, რაც განპირობებულია შედარებით დიდი მოცულობის პუი-ს ნაკადების შემოდინებით. დიაგრამიდან ასევე ჩანს, რომ ქვეყნის საინვესტიციო პოზიცია 1994 წლიდან მოყოლებული უარესდება.

საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიები

ტიპიური IDP მოდელის მიხედვით დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ საქართველო იმყოფება მეორე სტადიის დასასრულს ან/და მესამე სტადიის დასაწყისში, როდესაც შემომავალი პუი-ს მოცულობის ზრდა იწყებს გამოთანაბრებას და საზღვარგარეთ განხორციელებული პუი კი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის მეორე ეტაპზე ყოფნა შეიძლება აიხსნას პორტერის განვითარების სტადიებით, რომელიც მოიცავს სამ სტადიას: ფაქტორებზე ორიენტირებული, ეფექტიანობაზე ორიენტირებული და ინოვაციებზე ორიენტირებული სტადია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2013 წლიდან საქართველო ეფექტიანობაზე ორიენტირებულ სტადიაზე იმყოფება. გარდა ამისა, მეორე სტადიაზე ყოფნა ასევე შეიძლება აიხსნას პუი-ის მოტივაციებით. მაგალითად, 2006 წლამდე საქართველოში ძირითადად ხორციელდებოდა რესურსების მაძიებელი პუი, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნებრივი რესურსების (შავი ლითონები, რკინა, სასუქი, მაგნეზიტი, სპილენძი, ცემენტი) მოძიებასთან, ბაქო-თბილისი-სუფსა და გაზის მილსადენის მშენებლობასთან. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლამდე პუი-ის დომინირებად მოტივაციას წარმოადგენდა რესურსების მოძიებას, მეორე მნიშნელოვანი მოტივაცია იყო ბაზრის ათვისება, რომელთა მამოძრავებელ ძალას

დიაგრამა 2



წარმოადგენდა პრივატიზაცია ისეთ დარგებში, როგორიცაა ტელეკომუნიკაცია, ელეტროენერგიის წარმოება და განაწილება, პორტები, ნავთობტერმინალები, მედია, ასევე უძრავ ქონებაში (სასტუმროები), რომელთა უმრავლესობა კაპიტალ ინტენსიური დარგებია.

როგორც დიაგრამიდან ჩანს IDP მოდელის მიხედვით საქართველოში სტადიები დიდხანს გრძელდება მცირე ეკონომიკური ზრდის ტემპის გამო. პირველი სტადია მოიცავს 1994-2003 წლებს. მეორე ეტაპზე გადასვლა მოხდა თანმიმდევრულად, როგორც დანინგი აღწერს და სავარაუდოთ გრძელდება 2004 წლიდან მოყოლებული დღემდე. ეს პერიოდი ხასიათდება პუი-ის დიდი ნაკადების შემოდინებით, ერთ სულზე მშპ-ის ზრდით და საქართველოს საინვესტიციო პოზიციის გაუარესებით. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ საინვესტიციო განვითარების გზაზე გაიარა ორი სტადია შემდეგი მახასიათებლით, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკური რეფორმების ორ ტალღასთან:

- **პირველი სტადია:** 1992-2003, ხასიათდება პუი-ის მცირე ნაკადების შემოდინებით და მუდმივი NOI პოზიციით, რომელიც ახლოსაა ნულთან. ამ პერიოდში მიმდინარეობდა ახალი ეკონომიკური სისტემის ინსტიტუციონალურ საფუძვლებად ფორმირება, რომელსაც ჰქონდა ადგილი 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისის შემდეგ. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, რომელიც შეფერხდა 90-იანი წლების ბოლოს.
- **მეორე სტადია:** 2004 წლიდან – დღემდე, ხასიათდება შემომავალი პუი-ის მოცულობის ზრდით და საზღვარგარეთ განხორციელებული პუი-ს მცირე ნაკადებით და წმინდა საინვესტიციო პოზიციის მკვეთრი გაურესებით. ამ პერიოდში შეიმჩნევა L უპირატესობის გაუმჯობესება ბაზრების ლიბერალიზაციით, რომელიც დაკავშირებული იყო რეფორმების მეორე ტალღასთან. კერძოდ, 2005 წელს მიღებული ახალი საგადასახადო კოდექსით შემცირდა საგადასახადო განაკვეთები და იმ გადასახადების რაოდენობა, რომლითაც ბიზნესი და ინდივიდები იბეგრებოდნენ. 2006 წელს მიღებული საბაჟო კოდექსით შემცირდა საბაჟო კატეგორიები და ექსპორტისა და იმპორტის სატარიფო განაკვეთები, რამაც გაამარტივა ვაჭრობა და მოჰყვა ეკონომიკის გახსნილობის ზრდა. ბევრ სფეროში განსაკუთრებით შრომის რეგულირებასა და სავაჭრო რეჟიმების სფეროებში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა იყო წარმატებული ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, რომელიც ქმნიდა მოლოდინს, რომ პუი ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების შემოდინებას, ექსპორტის ზრდასა და დივერსიფიცირებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. თუმცა, ეს არ განხორციელდა იმ მასშტაბით, რომ ხელი შეეწყო გრძელვადიანი მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. კერძოდ, კაპიტალდაბანდება ისეთ დარგებში, როგორიცაა უძრავი ქონება და ქსელური ინდუსტრია დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ნაკლებ ეფექტიანია და საკმარისად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი ფირმების საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესებას. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია რაც ხელს არ უწყობს მწარმოებლურობის, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შექმნას.

ქართული ფირმების O-ს უპირატესობა

პუი-ის გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე აიხსნება მთლიანი ფაქტორული ან შრომის მწარმოებლურობით (Kokko, 1994), ადგილობრივ დარგებზე გარე ეფექტის

შექმნით (Coe, 1997), და ადგილობრივი ფირმების მიერ ექსპორტის ზრდით (Charaia V., The Role of Multinational Enterprises› Investments in Emerging Country›s Economic Development, Case of Georgia, 2017). მრავალი მკვლევარის აზრით ადგილობრივი ფირმების მოდერნიზებაზე პუი ინვესტიციების გავლენის ხარისხი დამოკიდებულია ადგილობრივ და უცხოურ ფირმების ურთიერთქმედებაზე და მიმღები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე. რაც მაღალია უცხოური ფილიალების ადგილობრივი დამატებული ღირებულების წილი მით უფრო მაღალია მოსალოდნელი გავლენა. ფილიალების საქმიანობის გავლენა ძლიერია იმ მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც საკმარისად აქვს განვითარებული L და O-ს უპირატესობა და მოიცავს ტექნოლოგიების და მშთანთქმელ შესაძლებლობას (Kokko Ari, 1994), ადამიანურ კაპიტალს (Borensztein, 1998), ეკონომიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკის გახსნილობას (Bengoa, 2003), ადგილობრივი ფირმების შესაძლებლობას (Rodriguez-Clare).

საქართველოში შრომის მწარმოებლურობისა და მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა 2002-2010 წლებში იყო პოზიტიური და მაღალი, გარდა 2008-2009 წლებისა, როდესაც ადგილი ჰქონდა ამ მაჩვენებლების მკვეთრ დაცემას. მაშინ როდესაც რეკორდული ზრდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში იყო ძლიერი, ფაქტორები რომელიც განაპირობებდა ამ ზრდას ნაკლებად შესაძლებელია ყოფილიყო მდგრადი მომდევნო წლების ზრდისათვის (Document of the World Bank., 2013)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო სარგებელი მწარმოებლურობის მკვეთრი გაუმჯობესებით, რომელიც არის დამახასითებელი გარდამავალი ტიპის ქვეყნებისათვის, საბაზრო რეფორმების განხორციელების შემდეგ მწარმოებლურობა ძირითადად არა სავაჭრო სექტორში გაიზარდა (მაშინ როდესაც ექსპორტის კონკურენტუნარიანობა და ხარისხის სტანდარტი სტაგნაციაში იმყოფება). ფირმის დონეზე მწარმოებლურობას ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორები მრეწველობაში, რომელიც მოიცავს ალოკაციურ ეფექტიანობას და მწარმოებლურობას ფირმის სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში, ასევე არ არის საკმარისად გამოყენებული.

საქართველოში 2004 წლიდან, მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვან წილად სტიმულირებული იყო კაპიტალის შემოდინებით და არა სავაჭრო სექტორით. შესაბამისად ქვეყანა დგას მდგრადი განვითარების გამოწვევის წინაშე. 2004 წლიდან განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა უზრუნველყვეს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და ადმინისტრირების გაძლიერება, რომელმაც ხელი შეუწყო საშუალოდ 9,3%-იან ზრდას 2004-2007 წლებში. ხოლო პუი-ს შემოდინება, რომელიც 2007 წელს მშპ-ის 16.5%-ს შეადგენდა განპირობებული ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესებით და ხელსაყრელი გლობალური ეკონომიკური მდგომარეობით იყო საქართველოში ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორი მოცემულ პერიოდში. 2008-2009 წლების ეკონომიკური დაცემის შემდეგ ფისკალური სტიმულები და გლობალურ ბაზრებზე მდგომარეობის გაუმჯობესებამ უზრუნველყო წლიური 6.5%-იანი ზრდა 2010-2012 წლებში. თუმცა მკვეთრი ზრდის მდგრადობა საშუალო ვადიან პერსპექტივაში არის ძირითადი გამოწვევა საქართველოსათვის.

2004-2012 წლებში ზრდა მნიშვნელოვან წილად განპირობებული იყო მომსახურების, მშენებლობისა და არა სავაჭრო სექტორებით. მაშინ როდესაც სამრეწველო საქონლის ექსპორტი მცირე ტემპებით იზრდებოდა და მისი წილი მშპ-ში იყო უმნიშვნელო და მთლიანად ექსპორტის წილი ინარჩუნებდა მშპ-ის 40 პროცენტს. მაშინ როდესაც მიმდინარე საგადასახდელო დეფიციტი მცირდებოდა მშპ-ის 22 პროცენტიდან 2008 წელს და 2010-2012 წლებში ინარჩუნებდა მშპ-ის 10-12 პროცენტს. ამგვარად, მდგრადი განვითარება და ქართული ფირმების საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესება მოითხოვს ინვესტიციების მოცულობისა და მწარმოებლურობის ზრდას, რაც ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესებით მიიღწევა.

ექსპორტისა და სავაჭრო სექტორის წვლილის სიმცირე, ზრდასა და მწარმოებლობაში 2004 წლიდან - არის სერიოზული საკითხი, რომელიც ამ ტენდენციის მდგრადობას ეხება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში (მოყოლებული 2004 წლიდან), საქართველოში ზრდა უფრო სწრაფი იყო ვიდრე საშუალოდ აზიის განვითარებადი, ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (ქვეყნებს შორის სადაც ნავთობი არა იწარმოება), ექსპორტის წილი მშპ-ში საქართველოში ძალზე მცირეა.

საქართველოს ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში და მასში რესურსებზე დაფუძნებული პროდუქტები ჭარბობს, ისეთები როგორიცაა: ფეროშენადნობები და სასარგებლო წიაღისეული, მაშინ როდესაც დასაქმების გენერირებადი გადამამუშავებელი პროდუქტების წილი - მცირეა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველო ჯერ კიდევ ვერ აღწევს წარმატებას ვერტიკალურად ინტეგრირებული საერთაშორისო საწარმოო ქსელში ჩართვის გზით. საქართველოს საექსპორტო კალათის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა ასევე არ არის განვითარებული (ამოქმედებული) უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში და ქართული ფირმების ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლის ალბათობა არის მნიშვნელოვნად დაბალი ვიდრე სხვა ევროპისა და აზიის ქვეყნების.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში პროგრესი შესამჩნევია, როგორც საკუთრების უპირატესობის გაუმჯობესების, ასევე ადგილმდებარეობის უპირატესობის გაუმჯობესების კუთხით ის ჯერ კიდევ მიეკუთვნება დაბალ შემოსავლიან ქვეყენათა რიცხვს ევროპისა და აზიის რეგიონში, სადაც მშპ-ის დონე კვლავ დაბალია 1990 წლის დონესთან შედარებით. მაშინ როდესაც საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ადგილი ჰქონდა ზრდას მისი მდგრადობის ძირითად წყაროს წარმოადგენს რამდენიმე მიზეზი: ა) 2004-2012 წლებში ზოგადი ზრდა მომსახურების, მშენებლობის და არა სავაჭრო სექტორებით იყო განპირობებული. ბ) 2004-2012 წლებში ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მთლიანი

ფაქტორული მწარმოებლურობის სწრაფი ზრდით, რომელსაც თავის მხრივ მდგრადი ზრდის ინიცირება მოჰყვებოდა გარდამავალ ქვეყნებში. დროთა განმავლობაში ამგვარი მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა და მაღალი განაკვეთის მდგრადობის უზრუნველყოფა რთულია. გ) 2004 წლიდან ინვესტიციების დიდი ნაწილი დაფინანსებული იყო იმ პუი-ის ნაკადების შემოდინებით, რომელიც შემცირდა კრიზისის პერიოდში. ეროვნული დაგროვების ნორმა ასევე დაბალია, რომელიც წარმოადგენს გამოწვევას მდგრადობის კუთხით.

ქართული ფირმების საკუთრების უპირატესობა, ასევე განისაზღვრება დანახრჯების დონით კვლევასა და განვითარებაში. საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამის მიზეზი კი ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონეა. ქვეყანაში ინოვაციის დონე ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისთვის, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსის 2015 წლის მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზეა, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (GCI) 2015-2016 წლის მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

• ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი – 121-ე ადგილი;
• კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) – 127-ე ადგილი.

დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:
• უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა – მე-97 ადგილი;
• ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ – 103-ე ადგილი.

ასევე არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 101-ე ადგილზეა.

L-ის უპირატესობა

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად მოქმედებს ადგილმდებარეობის უპირატესობასა და მწარმოებლობაზე, რამდენადაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. ადგილმდებარეობის უპირატესობის გარკვეულ გაუმჯობესებას აქვს ადგილი 2004 წლიდან, როდესაც დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღა (Charaia V., 2017). აღნიშნულ რეფორმებს მოჰყვა ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, რაც აისახა მსოფ-

IDP: საქართველოს საინვესტიციო განვითარების სტადიები					
	I სტადია	II სტადია	III სტადია	IV სტადია	V სტადია
საქართველოს ეკონომიკა	1994-2003	2004-	-	-	-
NOI პოზიცია	• შემომავალი პუი ან არ არის ან მცირე რაოდენობითაა • **NOI პოზიცია - ნეგატიური**	• პუი-ს ზრდადი ნაკადები • გასული პუი-ს მცირე ნაკადები • **NOI პოზიცია - ძალზედ ნეგატიური**	• შემოსული პუი-ის ზრდადი ნაკადები • გასული პუი-ის ზრდადი ნაკადები • **NOI პოზიცია უმჯობესდება და ნაკლებად**	• პუი-ის ნაკადების ექსპორტის ზრდა: • გასული პუი-ს ნაკადები აჭარბებს შემოსულ პუი-ს ნაკადებს • **NOI პოზიცია - დადებითი**	დაბალანსებული შემოსული და გასული პუი-ს ნაკადები; ქვეყნებს შორის ურთიერთ ჩამთრევი ინვესტიციების არსებობა **NOI პოზიცია - ნულთან მერყეობს**
ეკონომიკის სტრუქტურა	პირველადი სექტორი → ეცემა იზრდება → სამრეწველო სექტორი → მცირდება მომსახურების სექტორი → იზრდება				
OLI	• L-ის უპირატესობა შეზღუდულია და შემოიფარგლება ბუნებრივი რესურსების არსებობით. • ქართულ ფირმებს არ გააჩნიათ O-ს უპირატესობა	• L-ის უპირატესობა შედარებით უმჯობესდება რეფორმების მეორე მეორე ტალღის დაწყებით. • მცირედი უმჯობესდება ქართული ფირმების O-ს უპირატესობა			
დარგის მოდერნიზება და ადგილობრივი პირობები	ფაქტორებზე ორიენტირებული განვითარება	ინვესტიციებზე ორიენტირებული განვითარება	ინოვაციებზე ორიენტირებული განვითარება	• კეთილდღეობაზე ორიენტირებული განვითარება • L-ის უპირატესობა არის ძლიერი • O-ს უპირატესობა არის ძლიერი	
პუი-ის მოტივაცია	• უპირატესად ბუნებრივ რესურსების მაძიებელი პუი	• ბუნებრივი რესურსების მაძიებელი პუი; • ბაზრის მაძიებელი პუი-ს ზრდადი ნაკადები	• ბაზრის მაძიებელი პუი • ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ის ზრდადი ნაკადები მრეწველობაში	• ბაზრის მაძიებელი პუი • ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ის • სტრატეგიული აქტივების მაძიებელი პუი	

ლიო ბანკის ანგარიშებში. ამჟამად საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იავებს. მიუხედავად ამისა L-ის უპირატესობის გაუმჯობესების კუთხით ქვეყანას გააჩნია პრინციპული ხასიათის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის როგორც ადგილობრივი ფირმების საკუთრების (O-ს) უპირატესობის ამაღლებას, ასევე ეფექტიანობის მაძიებელი პუი-ის ნაკადების შემოდინებას. დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე, გამოწვევად რჩება არახელსაყრელი ინსტიტუციონალური გარემო, კერძოდ გადახდის უუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2015-2016 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები:

- საკუთრების უფლებების დაცვა – 58-ე ადგილი;
- დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა – 92-ე;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა – 138-ე;
- ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა – 123-ე;
- ბაზარზე დომინირების მასშტაბები – 119-ე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები ხელს უშლის OLI-კონფიგურაციის ცვლილებას ქვეყნის საინვესტიციო პოზიციის გაუმჯობესებას და საინვესტიციო განვითარების ახალ სტადიაზე გადასვლას.

BIBLIOGRAPHY:

Barry, F. H. (2003). Outward FDI and the investment development path in a late-industrialising economy:evidence from Ireland. Regional Studies , 37(4), 341-349.

Bengoa, M. a.-R. (2003). Foreign direct investment, economic freedom and growth: new evidence from Latin America. European Journal of Political Economy , 19(3), 529-545.

Borensztein, E. J.-W. (1998). How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics, 45(1), 115-135.

Buckley, P. J. (1998). The investment development path: the case of Portugal. UNCTAD. 7, pp. pp. 1-15. United Nations.

Charaia V. (2014). Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia. International Journal of Economics and Management Engineering, Vol:8, No:2. , 549-552.

Charaia V. (2017). The Role of Multinational Enterprises› Investments in Emerging Country›s Economic Development, Case of Georgia. International Journal of Economics and Management Engineering. Vol:11, No:3. , 43, 721-724.

Coe, D. T. (1997, (January)). NorthSouth South R&D spillovers. The Economic Journal , 134-149.

Document of the World Bank. (2013). Georgia: Sustaining Rapid Economic Growth. Country Economic Memorandum. World Bank.

Dunning J.H. (2002). Theories and Paradigms of International Business Activity. 1, 104-105.

Dunning, J. H. (1981). Explaining the international direct investment position of countries: towards a dynamic or development approach. Journal of International Business Studies , 117, 30-64.

Durán, J. J. (2001). he investment development path: a new empirical approach and some theoretical issues". Transnational Corporations , 10(2), 1-34.

Durán, J. J. (2001). The investment development development path:a new empirical approach and some theoretical issues"., 10(2), pp. 1-34.

Durán, J. J. (2001). The investment development path: A new empirical. Transnational Corporations , 1-34.

Kokko Ari. (1994). Technology, market characteristics, and spillovers. Journal of Development Economics , 43(2, 279-93.

Kokko, A. (1994). Technology, market characteristics, and spillovers. Journal of Development Economics , 43(2), 279-93.

Narula, R. (1996). Multinational Investment and Economic Structure:Globalisation and Competitiveness.

Rodriguez-Clare, A. Multinationals, linkages, and economic development. American Economic Review , 86(4), 852-873.

Scott-Kennel, J. E. (2005). Foreign direct investment and inter-firm linkages: Exploring the black box of the investment development path. UNCTAD/ITE/IIT/. 14, pp. 105-137. New York and Geneva: United Nations.

OLI PARADIGM AND INVESTMENT POSITION OF GEORGIA

DAVID SIKHARULIDZE
PhD, Associated Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
davit.sikharulidze@tsu.ge

VAKHTANG CHARAIA
PhD, Associated Professor
Grigol Robaqidze University, Georgia
vakhocharaia@gmail.com

KEYWORDS: FOREIGN DIRECT INVESTMENTS, GEORGIAN ECONOMY, OLI PARADIGM, INVESTMENT POSITION

SUMMARY

The article focuses on the role of FDI in Georgia's economic development. Based on Investment Development Path, research shows that Georgia is on the second level of its development (see chart 1), which means that inflow investments are prevailing on outflow investments and the country is still progressing based on non-modern technologies based economy. It can largely explain the role of the Government of Georgia in the evolution of the competitiveness of Georgian enterprises and of Georgia as a production location. It also predicts the direction of Georgian outward FDI to neighbor countries and highlights the relevance of the two-way relationship between inward FDI and the upgrading of the country's location advantages, on the one hand, and with the development of domestic firms' ownership advantages on the other hand.

Attracting FDI to Georgia is an issue of major importance nowadays. Georgia has a lot of advantages to promote its economy; however, the small efforts done for the promotion of local savings to transform it to the investments is hinder the economic development of the country. Foreign Direct Investment works as a locomotive to enlarge the transfer of technology, skills and access to export markets. It can decrease unemployment and increase employment; contribute to a higher GDP through higher levels of productivity.